


პროლეტარული ახალი ეპოქის, შერეული



საპროლეტარული სსრ შემოქმედის კლასიკური და სპორტის სახელმწიფო

კომიტეტისა და პროლეტარული რესპუბლიკური საბჭოს ორგანიზაციის

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

26 თებერვალი, თბილისი, 1988 წ.

გამომცემი 1934 წლის 13 აპრილიდან

პირველი ადგილზე მყოფი ჩემპიონი

არქივიზაში (ისლანდია) დამთავრდა მოკლდარაკე ვაჟთა „მსოფლიო თასის“ გათამაშების მესამე ეტაპი. ბოლო მე-17 ტურში მსოფლიო ჩემპიონი გარი კასპაროვი დაუზავდა პრედრეგ ნიკოლიჩს (იუგოსლავია), დააგროვა 11 ქულა და პირველი ადგილი დაიკავა. მას წინააღმდეგ ჩემპიონი ალექსანდრე ბელიკოვი იგი დამარცხდა ბორის სპასისთან (საფრანგეთი) შეხვედრაში. 10 ქულით III ადგილს დაეუფლა მსოფლიოს ექსტრემიონი მიხეილ ტალი, რომელიც ყამზე შეუთანხმდა იან ელვესტს. დანარჩენი ადგილები ასე განაწილდა: IV-V. იოსან ჰიარტარსონი

(ისლანდია), იან ელვესტი — 9,5-9,5 ქულა თითოეულს. VI-VIII. არტურ იუსუბოვი, დიულა საქსი (უნგრეთი), იან ტიშანი (პოლანდია) — 9-9, IX-XI. ულფ ანდერსონი (შვედია), ჯონათან სპილმენი (ინგლისი) — 8,5-8,5. XII-XIII. ანდრეი სოკოლოვი, პრედრეგ ნიკოლიჩი (იუგოსლავია) — 8-8. XIV. ზოლტან რიბლი (უნგრეთი) — 7,5. XV-XVI. ლაიოშ პორტიში (უნგრეთი), ბორის სპასი (საფრანგეთი) — 7-7. XVII. ვიქტორ კორჩნო (შვეიცარია) — 6,5. XVIII. მარგერიტ პეტრუსონი (ისლანდია) — 6.

ფინიშის სროლა

ალმა-ათაში დასასრულს მიუახლოვდა სსრ კავშირის მოკლდარაკე ქალთა 48-ე ჩემპიონატი. შედიხედ მესამე გამარჯვება იხეიმა საერთაშორისო დიდოსტატმა ნანა ალექსანდრიამ, რომელმაც მე-14 ტურში ჩემპიონული მოკლდარაკე თამარ კოვანი დაამარცხა. ახლა მას 8 ქულა (ერთი გადადებული პარტია) აქვს და ქეთევან კახიანიან და ნინო გურთიყვანიანი ერთად II-IV ადგილებს იყოფს. კახიანმა

ყამით დაამთავრა პარტია ლიუდმილა კულიკოვასთან (ერევანი), ხოლო ჩელუშინასა და ნინო გურთიყვანის პარტია გადაიდა. ნინო გურთიყვანის 5 ქულა და ერთი გადადებული პარტია აქვს. შეჯიბრებას 10 ქულითა და 1 გამოტოვებული პარტით სათავეში უდგას ნოვოსიბირსკელი მოკლდარაკე იულია დიომინა. ჩემპიონატის დამთავრებამდე 3 ტური რჩება.

გუზინ...

კოლხეთში უნდა გამართულიყო კადრები მსოფლიო პირველობის მატჩის მეცამეტე პარტია მია ჩიბურდანიძესა და ნანა იოსელიანს შორის, მაგრამ იგი არ შედგა. თავისი ბოლო, მესამე ტაიმ-აუტი აიღო პრეტენდენტმა.

ახალი სროლა

ახლახან ერევანში ჩატარდა სომხეთის სსრ ლია ჩემპიონატი საბადილო ნიჩბოსნობაში, რომელიც მიმდინარეობდა რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელის, წარსულში ცნობილი ნიჩბოსნის ლ. ვოსკანიანის ხსოვნას. ჩემპიონატი საქავშირო კალენდრით იმართება, იგი ტრადიციულია და ამჟამად მეთვრამეტედ გაიმართა. მონაწილეობდნენ მოსკოვის, ვინიცის, ბელგოროდის, ვოლნიუსის, ტალინის, დნეპროპეტროვსკის, ხერსონის და სხვა ქალაქების სპორტსმენები. წარმატებით იასპარეზეს საქართველოდან წარგზავნილებმა ფიქსულტურის ინსტიტუტის პირველკურსელმა, მცხეთელმა ნინო მუსოივამ ორადგილიანი ბიადრებით 500 მეტრზე შეჯიბრებაში დნეპროპეტროვსკელ ნ. ტიშენკოსთან ერთად პირველი ადგილი დაიკავა, ამავე დისტანციაზე ერთადგილიანი ბიადრებით რბოლაში კი იგი მეორე ადგილზე გავიდა. სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტის პირველკურსელმა, მცხეთელმა ვახტანგ მარტოლეკმა, რომელიც ორადგილიანი კანოეში ერთეულ სპორტის ოსტატ ი. აკობიანთან ერთად 500 მეტრზე დისტანციაზე გამოდიოდა, III საპირიზო ადგილი დაიკავა, ხოლო ერთადგილიანი კანოეთი ამავე დისტანციაზე იგი მეორე იყო.



კვიკვიას (თეთრი წყაროს რაიონი) ოქროსფერ ტყეში დიდიდან ხალხმომღე არ შეწყვეტილა ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულ მოსწავლეთა ურთიერთობა. აქ გაიმართა საქართველოს პირველობა სპორტულ ორიენტირებაში კოტე ახტაბაშვილის ხანგლობის პრიზზე. ამ ახსარეზობის შეხებზე „ლელოს“ უახლოეს ნომერში მოგითხრობთ, ახლახან კი გამარჯვებულებს ვაგაცნობთ — ირმა ვარსიანიშვილმა (მარცხნივ) და დავით გოგავამ.

კომპლექსური სპორტული ღონისძიებების მიმდინარე ციკლის მეორე ეტაპი ჰაბუკთა II საკავშირო თამაშების ფინალური ახსარეზობით დათავრდა. ეს ახსარეზობა, შეჯახებით, წილს ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში, ძირითადად კი გორკში, ჩატარდა. მანამდე იყო სპორტული სკოლების აღსარდელთა პირველი საკავშირო თამაშები, რომელსაც შარშან ჩვენმა რესპუბლიკამ უმასპინძლა. რაკი ახალი ციკლის შეჯიბრებების ათვლა შარშანდელი ღონისძიებებიდან იწყება, ჩვენც იქიდან დავიწყოთ. უწინარესად ის ვთქვათ, რომ ნორჩთა სპორტაკიადა ამ ციკლში თავისებური „ხახინჯი ქვა“ იყო — სწორედ აქ უნდა ეჩინა თავი ჩვენს რესპუბლიკაში სპორტის შემდგომი აღმავლობისათვის გატარებული ღონისძიებების პირველ შედეგებს. პირველ ყოვლისა ერთიანი მწვრთნელის სისტემის შექმნისთვის გაწეული მუშაობა ვაჯვებს მხედ-

ველობაში. აქ მთავარი მოთხოვნა იყო დიდი სპორტის უწყველ ახსარეზობის უწყველ შეწყველად და საფუძვლიანი მეგობრობითობის შექმნა. რაკ მოგვიტანა კომპლექსური ღონისძიებების პირველმა ორმა ეტაპმა? სპორტსკოლების აღსარდელთა თამაშებში რესპუბლიკამ საგრძნობლად წაიწია წინ — დაიკავა V ადგილი. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავდა იმას, რომ ჩვენი წინსვლის საფუძვლიანობა გვერწმუნა. პირველი დასკვნების შედარებით თამაში გამოტანა მხოლოდ. ჰაბუკთა საკავშირო თამაშების შემდეგ თუ შეიძლება. და აი, მისი შედეგებიც — მოთხოვნილია 81 მედალი — აქედან 19 ოქროსი, 23 ვერცხლისა და 39 ბრინჯაოსი, არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში კი ჩვენი რესპუბლიკა V ადგილზეა.

მს რაც შეეხება წარმატების სტატისტიკას, მაგრამ ჰაბუკთა საკავშირო თამაშებში სპორტის მთელ რიგ სახეობებში მარცხედ ვიწვენიტ, მკაფიოდ გამოჩნდა მუშაობაში დაშვებული ხარვეზები, რაც მინდობილი საქმისადმი გულგრილი დამოკიდებულების და უპასუხისმგებლობის შედეგია.

ნაკლოვანებები ღრმად და საფუძვლიანად თუ არ გაანალიზდა, დროულად თუ არ გატარდა რადიკალური ღონისძიებები, წინსვლის სრულყოფილი სისტემის საბოლოო ჩამოყალიბება მიუწვდომელ ამოცანებად დაგვრჩება. ეს სულისკვეთება ვასდევდა საქართველოს სპორტსახეობის კოლეგიის გაფართოებულ სხდომას, რომელიც ამ დღეებში თბილისის ჰაბუკის სასახლეში გაიმართა. დღის წესრიგში იყო მხოლოდ ერთი საკითხი — ჰაბუკთა II საკავშირო თამაშების შედეგების ანალიზი და სამომავლო ამოცანები.

კოლეგიის ამ სხდომამ, რესპუბლიკის სპორტსახეობის მუშაობის სტილისა და მეთოდებისთვის ჩვეულ ატმოსფეროში ჩაიარა—მკაცრი მომთხოვნელობა. მაგრამ ობიექტურობა, დარწმუნება და არა აღმინისტრირება, ანალიზი და არა ემოციები.

მოსხენება გააკეთა საქართველოს სპორტსახეობის თავმჯდომარის მოადგილემ, კოლეგიის წევრმა რ. აიწურაძემ.

ამონაწერი მოხსენებებიდან: „საქართველოს წარგზავნილებმა ჰაბუკთა პირველ თამაშებთან შედარებით გაცილებით მეტი მედალი მოიპოვეს. მაშინ, როცა უკრაინის, ბელორუსისა და მოსკოვის კოლექტივებს მოთხოვნილი მედალების რაოდენობაში კლება აქვთ. შესაბამისად 15,5 — 20. აღრინდელთან შედარებით რესპუბლიკის 20 ნაკრებმა გუნდმა გააუმჯობესა შედეგები, ოთხი გუნდი წინააღმდეგ ღონისძიებებში, 13-მა გააუმჯობესა მაჩვენებლები. V ადგილისათვის დავაში ძირითადად კონკურენტებმა ყაზახეთისა და უზბეკეთის კოლექტივებმა შესაბამისად 20 და 22 სახეობაში გააუმჯობესეს შედეგები I თამაშებთან შედარებით“.

მომხსენებელმა მადლობა გადაუხადა თამაშების უწყველ ჩემპიონს და პრიზიორს, მწვრთნელს და ორგანიზატორს, ყველას, ვინც წვლილი შეიტანა რესპუბლიკის ჰაბუკთა ამ წარმატებაში. კოლეგიაზე აღინიშნა, რომ წარმატება განაპირობა რესპუბლიკის პარტიული ხელმძღვანელობის შეუწყველმა ზრუნვა-ყურადღებამ. დიდი საორგანიზაციო კომიტეტის (თავმჯდომარე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ზ. ჩხეიძე) დამსახურება. წარმატებაში წვლილი უდევს რესპუბლიკის პრო-

ფაკევირულ და კომპიუტერულ ორგანიზაციებს, სახალხო განათლების, ჯანდაცვის და ცენტრების სამინისტროებს, სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს, ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს და მათ ხელმძღვანელებს.

მომხსენებლის გამოსვლაში იყო ასეთი ფრაზა: „სპორტის ზოგიერთ მუშაკში და ხელმძღვანელებში კი შეინიშნება თვითდამშვიდება და მიღწეულით თავმჯდომარეობა, ეს ქმნის არასასურველ განწყობას. თუ დროზე არ გვაკვირვებთ დასკვნები, ამდგავარი დამოკიდებულება დიდ ზიანს მოგვიტანს“.

ახლა შევიხრებოთ ნაკლოვანებებს, რომელიც მოხსენებაში აღინიშნა: „წყალბურთულმა ვაქებმა (მწვრთნელი ბ. მარგიველი) მეორე ადგილი დაიკავეს, მაგრამ თავი შეირცხვენეს. გუნდში მოისუსტეს აღმზრდელობითი მუშაობა.

მიუხედავად იმისა, რომ წინა თამაშებთან შედარებით მოკურავებმა ორი საფეხურით წინ წაიწიეს და X ადგილზე გავიდნენ (მოთხოვნილია ორი საპირიზო ადგილი), საერთო მდგომარეობა სპორტის ამ სახეობაში საგანგაშოა. წლიდან წლამდე გრძელდება მესვეურების და სპეციალისტების

იხ. აქ 2, 3, 33

აპრიკული ფეხსეპრთი საჭოტა პაპშირუ

მოგავალ წელს ამერიკის შეერთებული შტატების ორი სტუდენტი გუნდი საბჭოთა კავშირში ჩატარებს სახევენებელ მატჩს ამერიკულ ფეხსეპრთში. როგორც ახს სააგენტოს კორესპონდენტი ტომ ფორმანი იუწყება, ამ ღონისძიების სპონსორმა, კომპანია „რეიკომ ინტერნიშენელი“, რუსეთის ფედერაციის სპორტსახეობის მოლაპარაკების შემდეგ საბჭოთა მასურებლის წინაშე გამოსვლა შესთავაზა 30 კოლეჯის გუნდს და არც ერთი უარი არ მიუღია. „რეიკომ ინტერნიშენელი“, რომელიც სტუდენტური ასპარეზობის ტრანსლიაციებს აწყობს, ფართოდ აპირებს ამ მატჩის გაშუქებას, რომლის გამართვაც დაგეგმილია მოსკოვის „დინამოს“ სტადიონზე მომავალი წლის 2 სექტემბერს.

საპროლეტარული ჩემპიონატი თაბს როგორ გრძნობ, ლელოპრთილუბო?

გრძელდება საქართველოს ლელოპრთილუბო ასპარეზობა, რომელიც სექტემბერში დაიწყო და ორი წრედ, მიმოსვლით ტარდება. დღეისათვის პირველი ლიგის გუნდების სატურნირო ცხრილი ასე გამოიყურება:

Table with 2 columns: Team Name and Points. Rows include: ჩოხატაური (8 8 0 0 12), გორი (5 8 0 2 6), გეგეკორი (5 8 0 2 6), მახარაძე (5 2 0 3 4), აფხაზეთი (გალი) (4 1 0 3 2), აქარა (ქობულეთი) (5 0 0 5 0)

ჩემპიონატის პირველ ტურში არ გამართულა აქარა-მახარაძისა და გეგეკორი-გორის შეხვედრები, ეს მატჩები 27 ნოემბერს მიმდინარეობს. ორი ოქტომბერს გეგეკორიში, მეოთხე ტურის მატჩში, სათამაშოდ არ გამოცხადდა აქარის გუნდი, რისთვისაც მას წაუგება ჩაეთვალა. ჩემპიონატში, რომელიც ნოემბერის ბოლომდე გასტანს, დარჩენილია კიდევ ოთხი ტური.

გაგრძელე გარჯაძე.

ეკლავნება „თხილდისობას“

მიმდინარე წლის 29 ოქტომბერს, 15 საათზე, ქ. თბილისის იმპერატორის თბილისის დღეხასწაულის აღსანიშნავად ჩატარდება შეჯიბრება ცხენოსნობის ერთეულ და კლასიკურ სახეობებში. შეჯიბრების დამთავრების შემდეგ ნაჩვენებ იქნება საბჭოთა კავშირის სპორტსახეობის ანტი-სპორტის „კასკადიორის“ დადგმა, სადაც მონაწილეობენ ჩვენი ქვეყნის ცნობილი კასკადიორი-მსახიობები.

შემდეგ ნაჩვენებ იქნება საბჭოთა კავშირის სპორტსახეობის ანტი-სპორტის „კასკადიორის“ დადგმა, სადაც მონაწილეობენ ჩვენი ქვეყნის ცნობილი კასკადიორი-მსახიობები.

შედეგები - მიმდინარე წლის ბრაზილიელი ნელსონ პესოა გავიდა, რომელიც აქამდე ბელგიაში ცხოვრობდა და ამ ქვეყნის ლირებას იცავს. ოდენა (დანიამ). ქვეყნის ლია ჩემპიონატი ბელმინტონში პოულერიკ ჰოიერ-ლარსენმა მოიგო. ამ გამარჯვებით „გრან-პრის“ მრავალსაფეხურიან ტურნირში იგი მეშვიდე ადგილზე გავიდა, ლიდერობას კი ინდონეზიელი იჩუკ სუგიარტი ინარჩუნებს. ქალთა შეჯიბრებაში ამჟამად უძლიერესი იყო ლილინეი (ჩინეთი). ლარსენი (შოტლანდია). ამ ვებერანმა პოკეისტმა 31 წლის

ქვეყნის ბალახის პოკეისტა ნაკრებმა ახსარეზობა შეხვედრაში ზიმაბავეს ერთეულ ნაკრებს აჯობა — 6:1 (3:0). სტრასბურში. „გრან-პრის“ ტურნირი დაბრკოლებების გადალახვაში მოიგო შევიცარიელმა მხედარმა თამაშმა ფუქსმა (ცხენი-დაინერს გერლი). ბოლო შეჯიბრებაში მას საჭარიმთ ქულა არ მიუღია. მეორე ადგილზე გასულ დასავლეთ-გერმანულ კურტ მაიერს 4 საჭარიმო ქულა ჰქონდა. ნიუ-იორკში. „აილენდერის“ ვებერანმა პოკეისტმა 31 წლის

მიკ ბოსტინ სპორტს თავი მიანება. მაგრამ მისი ერთი რეკორდი ჯერჯერობით ურყევად დგას — 9 წლის მანძილზე ყოველ სეზონში 50 გატანულ შიბაზე მეტი. სულ ამ პოკეისტს 11 წლის მანძილზე 573 გოლი აქვს გატანილი. ეს შედეგი ნსლ-ს ლიგაში შეეძგება. ანაში (საფრანგეთი). ცხენოსანთა საერთაშორისო ტურნირი სამკიდში სეულის ოლიმპიადის ჩემპიონმა მარკ ტრლმა (ახალი ზელანდია) მოიგო. მისი საბოლოო შედეგია 54,80 ქულა.

(დასასრული)

დაპირებები, ვარაუდები კი არა და არ იგრძნობა. ამ დროს ცურვის სპეციალიზებული სკოლები სრულიად ხელმძღვანელები, უწყისიგობა სასწავლო-საწვრთნო პროცესის ორგანიზაციის საქმეში. თამაშების წინ შეკრება ფაქტობრივად ჩაიშალა ხობში. სპორტსახკომის მთავარი მწვრთნელის ვ. დავითაძის მეთაურობით სასპორტულ სკოლაში გაიმართა ვიდეო ამას ითვა-

ქაბუთა II საკავშირო თამაშებში წარმატებით იასპარეზეს ბატურტე მსტომელებმა (უფროსი მწვრთნელი თ. ხუდოევი), აკობატებმა (ა. ხლივაკვი), ვაჟა კალაბურთელებმა (ვ. ჯუჯუაძე), ფეხბურთელებმა (ბ. ამირჯანიძე), მოკლდრეკე გოგონებმა (ე. გუგუელი), თავისუფალი სტილის მოიბრუნებმა (თ. ბენდიანიშვილი), სამხატვრო (ა. იაქე), წყალბურთელებმა (ბ. მარგოცა), ვაჟა ძიულდოსტებმა (ფ. მარტყოფილიშვილი), ვაჟა ფრენბურთელებმა (ა. ივანიშვილი), ხაგაბატკეცილო ველომობილელებმა (კ. შენგელია), ხინჯროსული ცურვის წარმომადგენლებმა (ხ. ხიდორავა), წყალში მსტომელებმა (ი. გუტიაკულია), ხადინტონისტებმა (ლ. ქუჩუაშვილი), ვაჟა ხელბურთელებმა (ვ. ბერიაშვილი).

ლისწინებდა დებულება. მწვრთნელებმა კი საერთოდ არაფერი იცოდნენ ჩათვლის ახალი სისტემის თაობაზე. მწვრთნელთა შორის უთანხმოება იქამდე მივიდა, რომ მთავარი მწვრთნელი სპორტსახკომმა ჩამოაშორა ნაკრებს, რაც უპირველესად შემთხვევაა.

კოლეგიაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ რესპუბლიკაში ძალზე ცუდად ვიყენებთ ნიშნობის განვითარებისათვის ხელსაყრელ ბუნებრივ პირობებს. ნაკრებში არ შედიოდა არც ერთი თბილისელი სპორტსმენი, რაც იმზე შეიკვირებდა, რომ დედაქალაქში სპორტის ამ სახეობის ტრადიციები დიკარგა, რასაც თბილისის სპორტკომიტეტი ურიგდებდა. აკადემიურ ნიშნობაში (უფროსი მწვრთნელი მ. პატარაია, მთავარი მწვრთნელი გ. ელბაქიძე), ზაიდარათი და კანოეებით (ს. ცქიტიშვილი, თ. ნეგუტელი) ნიშნობაში ნაკრებმა გუნდებმა ვერც ერთი მედალი ვერ დაიმსახურეს. თამაშებისთვის მათ მოსამზადებლად კი 116 ათასი მანეთი დაიხარჯა. დასკვნითი შეკრება ნიშნობებში მოუზადებლად ჩატარეს ქ. ელანოში.

წარმატებით იასპარეზეს ძიულდოსტებმა და სამხატვრო, მაგრამ ნაკრებ გუნდებში ვერ ვიხილეთ ისეთი საკვალი ცენტრების წარმომადგენლები, როგორცაა ქ. გორი და გორის რაიონი. სამბოში მოპოვებულმა ხუთმა მედალმა საქმის სასიკეთოდ შემობრუნების ილუზია არ უნდა შეგვიქმნას. გუნდს გაძლი-

ერდა ძიულდოსტთა ხარჯზე. საქართველოს ნაკრები ქვეყნის პირველობაზე IX ვადგილზე გავიდა. არ ჩანს იმედის მომცემი სპორტსმენი, უფროსმა მწვრთნელმა ნ. ხუციშვილმა ვერ გაამართლა იმედები. რესპუბლიკაში სამბოს განვითარებაზე სპორტსახკომის ადრე მიღებული დადგენილება არ სრულდება სპორტულ საზოგადოებებსა და უწყებებში. სპორტსახკომის მთავარი მწვრთნელი გ. თქრობირძე კი ჩერონად ვერ აკონტროლებს დადგენილების შესრულებას.

თავისუფალი კილაობაში ტრადიციები დათმეს სამხრეთ ოსეთის, თელავის, რუსთავის სპორტულმა ორგანიზაციებმა. წარმატებულად იასპარეზეს კლასიკური სტილის მოკლდრეკე — დაგვიმოლი 4. მედილიდან მათ ვერც ერთი ვერ მოიპოვეს და VII ადგილზე გავიდნენ. აღინიშნა, რომ შეცდომა დაუშვეს, როცა ნაკრების უფროსი მწვრთნელი დაიწინააღმდეგებდა. მის ახასიათებს ზედმეტი თავდაჯერება, ამბიციურობა, მიყრდნობა. მოიტანეს კონკრეტული ფაქტები. მაგალითად, მან ნაკრების შემადგენლობაში არ შეიყვანა საქართველოს ჩემპიონი კი, რამაც შექმნა გუნდში არაჩანსალი ატმოსფერო. კოლეგიაზე ბრძოლისათვის მზად არ იყო ფიზიკურად, ტექნიკურად, ფსიქოლოგიურად. ზემდგომმა ხელმძღვანელმა სპორტულმა ორგანიზაციებმა კი არ გაითვალისწინეს ადრე სპორტოლოგიური გამოკვლევის უარყოფითი შედეგები. არაპროცესულობა და ლიბერალიზმი გამოიჩინა მთავარმა მწვრთნელმა ვ. გოგიაშვილმა, ბოლომდე ვერ ჩასწვდა მოკვლევებს რესპუბლიკის ძირითადი ნაკრები გუნდის უფროსი მწვრთნელი მ. სალაძე. სპორტის ამ სახეობაში შეიმჩნევა გათიშულობა, დაგვიწყობა. მაგალითად, სპორტული სკო-

ქაბუთა II საკავშირო თამაშებში ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები არადაამაყოფებლად დაგვიდნენ მძლეოსნობაში (უფროსი მწვრთნელი ნ. თვათაძე), აკადემიურ ნიშნობაში (ა. პატარაია), ზაიდარათი და კანოეებით ნიშნობაში (ს. ციციშვილი), კლასიკურ კილაობაში (ო. ტატიშვილი), იმედები ვერ გაამართლეს ფრენბურთელებმა (ვ. ტაყაჩაღი) და ხელბურთელებმა გოგონებმა (ვ. ბერიაშვილი).

ლა-ინტერნატის 4 მწვრთნელიდან სამი უბრად არიან ერთმანეთთან. ძიულდოსტ გოგონათა ნაკრები გუნდის სამარცხენო ჩავარდნაზე საკანგებოდ იმსჯელა სპორტსახკომის კოლეგია. უხეში შეცდომების გამო სამუშაოდან განთავისუფლდა უფროსი მწვრთნელი გ. თქრობირძე და მთავარი მწვრთნელი გ. დავითიანი. კილაობის ცალკეული სახეობების შემდგომ განვითარებაზე მთელი პასუხისმგებლობა ეკისრება სპორტსახკომის შესაბამის განყოფილებას (ო. შოშიტაშვილი).

კოლეგიაზე სამაგალითოდ მოიტანეს საგზაბელო ველომობლობაზე ნაკრები გუნდის უფროსი მწვრთნელი კ. შენგელია და მოკლდრეკელებმა საქმისადმი. ამ კაცმა თამაზდ დანერგა მუშაობის თავისუფალი

**კოლეგიის დადგენილება:**  
„სპორტის ისეთ სტრატეგიულ ხაზობებში, როგორცაა ცურვა, მძლეოსნობა, ნიშნობა და ტანვარჯიში, ხადაც ბევრი მედალი თამაშდება, განსაკუთრებულ შეფოთებას იწვევს გაკვირვებული კრახისი, რაც გართულებს პოზიტიური მაჩვენებლების შენარჩუნებას მომავალ ახალგაზრდულ თამაშებში და სხვ. კავშირის ხაზობა სპორტკომადში“.

მეთოდ, რამაც (თუმცა მოწინააღმდეგე ბევრი გამოუჩნდა) გაამართლა.

შემდეგ საუბარი იყო თანამედროვე ხუთბრუნე, რომლის განვითარებისათვის კარგად მუშაობს სპორტსახკომის და „დინამო“ და ფიზკულტურის ინსტიტუტის ბავშვთა სპორტული სკოლა, რომლებსაც არმიის სპორტული კლუბები შეემატა. აფხაზეთში, აჭარაში, სამხრეთ ოსეთში, ქუთაისში, რესპუბლიკის არც ერთ სხვა რეგიონში არ არის დანერგული სპორტის ეს სახეობა, რაც სიმბეჭობს ქმნის ნაკრების დაკომპლექტებაში.

არავითარი სასიკეთო ძეგები არ იგრძნობა ცხენოსნობაში (უფროსი მწვრთნელი კ. გაშიბაიაშვილი). სპორტის ამ სახეობის მესვეურნი არ ამჩნევენ ან არ სურთ შეამჩნიონ ჩამორჩენის მიზეზები, იყენებენ ზედპირულობას, ვერ ხედავენ საკუთარ ნაკლოვანებებს, სპორტსახკომში ცხენოსნობაზე პასუხისმგებელი მუშაის პ. ლუცენკოს ანალოზში ყველაფერი გააძლიერებულია ცხენებზე. აი, სადაღმდეგ მიდის პრიმიტივიზმი. სპორტსახკომის თბილისის საცხენოსნო ბაზა ვერ იქცა ამ სახეობაში მუშაობის წარმართველ სათაო ორგანიზაციად, სამაგალითოდ აქ არის მოკარგებული მომზადება, დაუდევრობა, ფუქსიტყვაობა და არაპროფესიონალიზმი. ბაზის უფროსი გ. კალმანელი შეეჩვია დაბრუნებას და არ გრძნობს პირად პასუხისმგებლობას შექმნილ ვითარებაში.

კოლეგიაზე გააკრიტიკეს მოფარკავეებიც. VII ადგილი და ერთი მედალი გუნდური ადგილი ხმლით ფარკობაში ვერ ქმნის სასურველ ამინდს. მთავარ მწვრთნელს გ. მახარაძეს მოსთხოვეს დასკვნები გააკეთოს კრიტიკული შენიშვნებიდან. არადაამაყოფებლად მუშაობენ ფარკობის სპეციალიზებული სკოლები. ქუთაისში (დირექტორი თ. თქრობირძე), თბილისში (ტ. მესხი), პროფკავშირების სკოლა (გ. კოსტავა). მარტო ამ სკოლებში გაერთიანებულია 1148 მოსწავლე, რომელთაც ემსახურება 56 მწვრთნელი. ენობრივი პრეტენზიები წაუყენეს ძალოსნებს (უფროსი მწვრთ-

ნელი ა. კიტაძე, მთავარი მწვრთნელი რ. გურგენიძე). ეს სახეობა ვითარდება რესპუბლიკის 18 რეგიონში, ნაკრები კი ძირითადად შეგებას იღებს საჩხერისა და ცხინვალისიდან. ჩაშლილია მუშაობა აჭარაში. ტრადიციები დათმეს აფხაზეთში, თბილისში. შედეგს არ იძლევიან სკოლები, სადაც დირექტორებად მუშაობენ ე. დარჯანიძე და ა. ჯეჭვიაძე.

აჭარა, აფხაზეთი და ქუთაისი ველომობლობის სპორტულს აწვდიან ნაკრებ გუნდებს, არ არის მკიდრო კავშირი დოსაფის ორგანიზაციებთან. მშვიდლოსენებმა კი იცვლად დაგვიმოლი მესამე ადგილისა დაიკავეს VII ადგილი. თბილისში ამ სახეობების განვითარებას აფერხებს სათანადო ბაზის უქონლობა, თუმცა სადირექტო გიდაწყვეტილება პრობლემის გადაჭრისათვის არსებობს. სპორტსახკომის შესაბამის განყოფილებას მიუთითებს პასიურობაზე.

კრივეში ნაკრები გუნდის მზადების პროცესში მიუტევებელი შეცდომები დაუშვა უფროსმა მწვრთ-

**კოლეგიის დადგენილება:**  
„ჩერ კიდევ უმნიშვნელო ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციების და უწყებების, უმაღლესი სპორტული და სახატების სკოლების წვლილი სრულფასოვანი სპორტული რეზერვის აღზრდაში. არ აღმოფხვრიდა შრომითი და საშემსრულებლო დისციპლინის დარღვევის ფაქტები, გრძელდება შეცდომები კადრების შერევა-განაწილებაში. ბევრ სპორტულ სკოლაში ჩერ კიდევ არაა შექმნილი სასწავლო-საწვრთნო პროცესში კონტროლის სრულყოფილი სისტემა, ურიგდებიან ნაკლოვანებებს, კვლავ გვხვდება ორ და სამ ადგილზე მწვრთნელთა შეთავსების ფაქტები, მუშაობაში არ იგრძნობა რადიკალური გარდაქმნა“.

ნელმა დ. შიუკაშვილმა. ირღვეოდა დისციპლინა, რის გამოც ამ სახეობაში დაგვიმოლი 6 მედალი იცვლად მოპოვებულია მხოლოდ 2. ეს მაშინ, როცა წინა თამაშებიდან ჩვენი ნაკრები შინ 13 მედალი დაბრუნდა. ცუდად მუშაობენ კრივის სკოლები თბილისის (დირექტორი რ. მეგრელიშვილი), სახალხო განათლების სისტემისა (გ. ლორთქიფანიძე), „შრომითი რეზერვების“ (მ. ხერხეულიძე), პროფკავშირებისა (დ. ქავთარაძე). დასახლებულ სკოლები და მათი ხელმძღვანელობა თვითნებურად ჩამოცილნენ ნაკრების მზადების პროცესს. 110 ქულოდან, რომელიც მოკრევეებმა დაიმსახურეს, 70 ფოთისა და მესტიის სპორტსკოლების წილად მოდის. დამაფიქრებელი ფაქტია!

კოლეგიაზე დაისვა საკითხი კრივის სპორტსახკომის მთავარი მწვრთნელის ზ. გუნისის სამუშაოდან განთავისუფლების შესახებ. უამრავი შეცდომები ახლდა მძლე-

ოსანთა მზადება. პრობლემებს აწვევს ვერცა უფროსმა მწვრთნელმა ნ. ხუციშვილმა. მათიდან 30-ისა, თამაშებზე ჩვენი გუნდი წარმოადგენილი იყო 47 სპორტსმენით, რომელთაგან ნახევარმა ჩასათვლე-

**კოლეგიის დადგენილება:**  
„უიღურესად არადაამაყოფებლად სპორტული რეზერვის მოხაზვად და სახალხო განათლების სამინისტროს სპორტული პროფესიის სკოლა-ინტერნატის (დირექტორი ლ. ბოლქვაძე) გაწეული მუშაობა. დაკომპლექტება, სასწავლო-საწვრთნო პროცესი და მატერიალურ-სპორტული ბაზა არ უმახუხებს ამ ტიპის სასწავლებლებისადმი წაყენებულ ელემენტარულ მოთხოვნებს“.

ლი ქულაც ვერ მოიპოვა. დასახული ამოცანა შესრულია მხოლოდ ერთმა მძლეოსანმა. ითქვა, რომ ნაკრები გუნდის მზადებაზე 113 ათას მანეთზე მეტი დაიხარჯა. რესპუბლიკაში მუშაობს 792 ფასიანი ჯგუფი და 457 მწვრთნელი, უშუაგება კი არ არის.

კოლეგიაზე ღრმად განიხილდა სხვა ფაქტებიც, დასახელეს რაიონები და ქალაქები, სადაც მძლეოსნობის განვითარებისთვის დიდადია სასურველი უშედეგოდ იხარჯება. იგონებენ 10 სპორტულ სკოლაზე. მოიტანეს ასეთი შედარებები: საქართველოში (მოსახლეობასთან პროცენტულად) სსრ კავშირში ყველაზე მეტი მძლეოსანია, ხარისხობრივი მაჩვენებლებით კი ჩვენი რესპუბლიკა ბოლო ადგილზეა.

კოლეგიაზე შეეხინ აგრეთვე რესპუბლიკის ცალკეული რეგიონების წვლილი. გააკრიტიკეს თბილისის, აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის ფიზკულტურული და სპორტული ორგანიზაციები. დაისვა კითხვა: რატომ არ არის საქმარის აფხაზეთის 20, აჭარის 19 და სამხრეთ ოსეთის 8 სპორტსკოლა იმისათვის, რომ იქ სპორტსოფიანი რეზერვი მოამზადონ? არადა, ამ რეგიონებში 703 მწვრთნელი მუშაობს. თბილისში კი 70-ზე მეტი სკოლა, სადაც 1493 მწვრთნელია დასაქმებული. 1985 წელს პირველ საკავშირო თამაშებში თბილისის სპორტსმენებმა მოიპოვეს 14 ოქროს მედალი, მეორე თამაშებში — 10. თბილისის სპორტკომიტეტს მეტი მოეთხოვება.

კოლეგიაზე სპორტული საზოგადოებებისა და უწყებების წვლილზე შეფასეს. ერთიანი პროფკავშირული ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების შექმნამ ადკვეთა უწყებობა, კუთხურობა და დაქსაქსულობა, მაგრამ განახლება-გარდაქმნა პროცესი ჩერ არაა სასურველ დონეზე. აპარტის ცალკეულ მუშაკებში, სპორტკლუბში, ადგილი მობრუნ ორგანიზაციებში, განსაკუთრებით სისტემაში შემაგულ 73 სპორტულ სკოლაში კვლავ გვხვდება უპასუხისმგებლობის, ხელმძღვანელობის ფაქტები, სრულად არ აღმოფხვრიდა ფორმალური პარად-

**საპროტა კავშირის ჩამოინახი ფხვარითი**  
უმაღლესი ლიგა

21 და 22 ოქტომბერს გაიმართა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი შეხვედრები უმაღლესი ლიგის გუნდებს შორის. გათავაზობთ მათს სტატისტიკურ მონაცემებს.

„დინამო“ (მოსკოვი) — „დინამო“ (მინსკი) 2:1 (1:1). გოლები: დობროვოლსკი, ბულოსოვი (მოსკოვი), შირაკი (მინსკი).

გაფრთხილეს მინსკელი ფეხბურთელი შაიბო. დუბლიორები — 2:1.

„სპარტაკი“ — „დინამო“ (კიევი) 1:0 (0:0). გოლი: სუსლოპაროვი.

გაფრთხილეს კიეველი ბელანოვი. დუბლიორები — 1:5.

„დნეპრი“ — „კაირატი“ 3:0 (2:0). გოლები: შახოვი, სონი, შვიკოჩი.

გაფრთხილეს დნეპროპეტროვსკელი სოროკოლეტი და ალმათეული კისტერი. დუბლიორები — 2:1.

„არარატი“ — „ლოკომოტივი“ 0:0.

გაფრთხილეს გორკოვი, სოლოვოვი („ლოკომოტივი“) და რ. აკოფიანი („არარატი“). დუბლიორები — 2:4.

**გათავაზების ცხრილი**

დუბლიორთა შემადგენლობანი

თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“	მ.	24	15	6	3 37-15 36
„სპარტაკი“	მ.	24	13	8	5 51-36 34
„დინამო“	ქ.	25	14	5	6 39-26 33
„დნეპრი“	ქ.	26	13	5	8 37-31 31
„ქალკვი“	ქ.	26	11	9	6 37-19 31
„ტორპედო“	ქ.	25	13	4	8 35-29 30
„დინ.“	თბ.	26	9	10	7 31-32 28
„ლოკომ.“	ქ.	22	9	6	7 31-24 24
„ჩერნომ.“	ქ.	25	9	6	10 28-31 24
„ზენიტი“	ქ.	26	9	5	12 26-36 23
„მეტალ.“	ქ.	25	7	7	11 34-34 21
„შახტიორი“	ქ.	26	7	5	14 34-47 19
„არარატი“	ქ.	22	7	4	11 31-38 18
„დინ.“	მწ.	26	6	5	15 29-43 17
„კაირატი“	ქ.	26	5	5	16 25-47 15
„ნეფთი“	ქ.	22	3	8	11 12-29, 14

**I ლიგა**

**გუზინ** გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების 41-ე ტურის მატჩები. საქართველოს გუნდებმა შინ მიიღეს მეტოქეები.

გათამაშების ერთ-ერთი ლიდერი და უმაღლესი ლიგაში გადასვლის კანდიდატი ლანჩხუთის „გურია“ შინ შეხვდა ტიუმენის „გეოლოგს“.

ანგარიშით 3:0 გაიმარჯვეს ლანჩხუთელმა ფეხბურთელებმა.

ბათუმის დინამოელებმა თავიანთ მინდორზე მიიღეს გათამაშების ერთ-ერთი აუტსაიდერი პერმის „ზენიტი“.

მატჩის შედეგა 1:0 ბათუმელთა სასარგებლოდ.

**II ლიგა**

**გაიმართა II ლიგის III ზონის** ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების გამოტოვებული მატჩი. კიროვანის „ლორმა“ ნოვოროსისის „ცემენტს“ უმასპინძლა. ანგარიშით 2:1 გაიმარჯვა „ცემენტმა“.

ნოვოროსისის „ცემენტს“ და ტაგანროგის „ტორპედოს“ ზონის გათამაშებაში 48-48 ქულა დაუგროვდათ. ნეიტრალურ მიწაზე ანგარიშით 2:0 გაიმარჯვა „ცემენტმა“, ზონაში პირველი ადგილი დაიკავა და I ლიგის გადასასვლელ ტურნირში მონაწილეობის უფლება მოიპოვა ქუთაისის „ტორპედოს“ და პავლოვარის „ტრაქტორთან“ ერთად.

**ეპროვის საკლუბო გათამაშებანი**

დნეპროპეტროვსკის „დნეპრი“, მოსკოვის „ტორპედო“ და ვილნიუსის „ულისაგარისი“. ეს საგრძნობი დანაკარგია ჩვენი ფეხბურთისთვის.

გათამაშების მეორე ეტაპზე ჩვენი კლუბების რუმინული ფეხბურთის ორი წარმომადგენელი ხვდება. ევროპის ჩემპიონთა თასის მერვედფინალში ბუქარესტის „სტილია“ თავის მინდორზე მიიღებს მოსკოვის „სპარტაკს“, ხოლო უეფას თასის მეტეჟესმეტედფინალში მინსკის „დინამო“ შინ შეხვდება ბუქარესტის „გეოლოგს“. თასების მფლობელთა თასის მერვედფინალში პოლონდიის „როდა“ შეხვდება ხარკოვის „მეტალისტს“.

შეგახსენებთ, რომ ჩემპიონთა თასის პირველ ეტაპზე მოსკოვის სპარტაკელებმა ორ მატჩში დაამარცხეს ჩრდილოეთ ირლანდიის „გლენტორანის“ — 2:0 და 1:1, ბუქარესტის „სტილიამ“ მოუგო ჩეხოსლოვაკიის „სპარტას“ — 5:1 და 2:2, თასების



# ქნელი გამოსდა

თბილისი. კიროვის სახელობის პარკის ბავშვთა კალათბურთის სახელმწიფო 24 ოქტომბერი.

„დინამო“ (თბილისი) — ცხკა 84:113 (26:50).

„დინამო“: დარხაძე (26), რიფიანი (19), შენგელია (11), კროპაჩოვი (7), ბოროდაჩოვი (6), ვაშაიძე (5), თორთლაძე (5), ტიუბინი (3), კოლიჩივი (2).

ცხკა: ტარაკანოვი (25), მიგლინიევი (21), გობოროვი (16), პოპოვი (12), შუბინიევი (12), ბერეჟნი (11), გორინი (8), მინაევი (5), ლოპატოვი (4), პანკრაშინი (1).


მხაჩევი: ი. აპოლონოვი (ლენინგრადი), ა. ბაბუშინი (ხარკოვი).

იმედს, როგორც წესი, რეალური საფუძველი უნდა ჰქონდეს. გუშინწინდელი მატჩის მოგებას, მაგალითად, არც თავად დინამოელები და არც მათი მრავალრიცხოვანი გულშემატკივრები არ ვარაუდობდნენ, თუმცა ბრძოლას, რაღა დაემალოთ, მაინც ველოდით.

ცხკამ თბილისში საკმაოდ შეთამაშებული კოლექტივი და ოთხი ოლიმპიური ჩემპიონი (ტარაკანოვი, მიგლინიევი, გობოროვი, პანკრაშინი) ჩამოიყვანა. ეს გუნდი, დარწმუნებული ვართ, წლებადღეულ ჩემპიონატში ერთერთი (თუ ერთადერთი არა) მთავარი ფაქტორი იქნება. კორაჩის თასის კალენდარულ მატჩამდე ერთი კვირით ადრე ასეთ შეტოქსთან თამაშს ალბათ ჰქონდა გარკვეული აზრი, მნიშვნელობა. ძლიერი სპარინგ-პარტნიორი ყველაზე კარგი და ობიექტური გამოცდელია.

ეს მატჩი „დინამომ“ სუსტად ჩაატარა. არა და თამაში ჩვენს კალათბურთელებს, ცხადია, უკეთესად შეეძლოთ. გუშინწინდელი მატჩის ანსა ორი უმთავრესი მიზეზით შეიძლება: ჯერ ერთი, გუნ-

დის შემაღწელობაში მომხდარი ცვლილებების შემდეგ ბოლომდე არ არის გამოკვეთილი ხუთეულის ოპტიმალური ვარიანტი და მეორეც, დაცვას ბევრი არსებითი ხარვეზი ჰქონდა.



ის, რომ „დინამოს“ ხელმძღვანელობას აქცენტი ახალგაზრდობაზე აქვს აღებული (ვაშაიძე, თორთლაძე, შენგელია და სხვები), სავსებით დასაბუთებულია და ლოგიკურად მიგვაჩნია. ის, რომ ჩვენს გუნდს დაცვაში უკეთ შეუძლია თამაში, სხვა თუ არაფერი, მეორე ტაიმის დასაწყისშივე და მის პირველ პერიოდში დადასტურდა: დინამოელებმა 24-ქულიანი სხვაობა 14 ქულამდე დაიყვანეს და არმიელთა მწვერთვს ი. სელოხოვის მდგომარეობის გამოსწორების მი-

ზნით სავანებო ზომების მიღება დასჭირდა.

ცხკას არსებული ძალებით ფარს, ცხადია, ვერ მოუგებ. ეს იმთავითვე იყო ცნობილი, სამაგიეროდ მას შეიძლება ხელი შეუშალოს შეტევის დასაწყის და განსაკუთრებით დამამთავრებელ ფაზაში. ოღონდ დაცვა უნდა იყოს უფრო მობილური, მასირებული და ჭკუფური. მატჩის პირველ ნახევარში თბილისელებმა ვერ შეძლეს ეს და აქი დასაჯენ კიდევ. შესვენების შემდეგ, განსაკუთრებით ტაიმის შუა პერიოდში, „დინამომ“ შეცვალა დაცვის ტაქტიკა და სასურველ მიზანსაც მიაღწია. ამ მომენტში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არმიელთა ხელმძღვანელობას ზომების მიღება დასჭირდა, რათა უკვე მოგებული მატჩის ბედი ეჭვის ქვეშ არ დაეყენებინათ.

გუშინწინ მინსკა და ალმა-ათაში კიდევ ორი შეხვედრა გაიმართა.

**მინსკი**, რადიოტექნიკის ინსტიტუტის კოლექტივმა ვილნიუსის „სტატისბას“ უმასპინძლა და დამარცხა იგი 95:89. აღსანიშნავია, რომ მატჩის პირველი ნახევარი სტუმრებმა ორი ქულით მოიგეს — 48:46.

**ალმა-ათა**, გათამაშების დებიუტანტის ადგილობრივი არმიელებისა და შარშანდელი ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორის კიევის „სტრითელის“ შეხვედრაში უპირატესობა ალმაათელთა მხარეს იყო, რომლებმაც გაიმარჯვეს კიდევ — 109:83 (54:35).

## გუშინ...

განმეორებით შეხვედრაში ცხკამ კვლავ გაიმარჯვა, ოღონდ დამატებით დროში — 98:90 (84:84, 52:89).

## დისკვალიფიკაცია ტრენერს

უველამე სწრაფი აღმინის, კანადელი სპრინტერის ბენ ჯონსონის ბედი სეულის ოლიმპიურ თამაშებზე მომხდარი სკანდლის შემდეგ მსოფლიოს სპორტული საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრში რჩება. ახლახან მოვიდა ცნობა ოტავეიდან იმის შესახებ, რომ კანადის მძლეონობის ასოციაციამ მკაცრად დაგმო ჯონსონის საქციელი (როგორც ცნობილია, იგი ლიბინგის მიღებაში იქნა მხილებული) და მას მკაცრი სასჯელი — ორი წლით დისკვალიფიკაცია მიუსჯა. დაისჯა სპორტსმენის მწვერთელი ჩარლი

ტრენისი — იგი „უველამე“ დისკვალიფიკაციის ქვეშაა და ჩემპიონატი ვადა 24 სექტემბრიდან — დამინგ-კონტროლის ჩატარების დღიდან ეთვლება.

მძლეონობის ეროვნული ასოციაცია იკვლევს სხვა რამდენიმე სკანადელი ოლიმპიელის საკითხსაც, რომლებიც აკრძალული პრეპარატების მიღებაში არიან ექვმტანიონი. განსაკუთრებული გულდასმით სწავლობენ ორი კანადელი მორბენლის საქმეს, რომლებიც სეულში გაურკვეველი მიზეზებით სტარტზე არ გამოცხადდნენ.

## უკლიარასთა ტურნირი

**პეროვის** უძლიერესი კლუბები ინტენსიურად ემზადებიან ახალი საკალათბურთო სეზონისათვის. ამ მიზანს ემსახურებოდა სულ ახლახანს მადრიდში დამთავრებული საერთაშორისო ტურნირი, რომელმაც უძლიერეს შემადგენლობას მოუყარა თავი: „ბარსელონა“, „რეალი“, „იუგოსლავიკა“ და მოსკოვის ცხკა. ამრიგელებისათვის ეს ტურნირი თავისებურ დაზერვას წარმოადგენდა ჩემპიონთა თასის მატჩების წინ.

პირველ ტურში ისინი მასპინძლებს მადრიდის „რეალს“ შეხვედნენ. მატჩი თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობდა და პირველი ტაიმი დამთავრდა ფრედ — 45:45, მხოლოდ მეორე ტაიმის უკანასკნელ წუთებზე შეძლეს ესპანელებმა წინ გასვლა — 82:79.

მეორე მატჩი „იუგოსლავიკას“ და „ბარსელონას“ შორის იუგოსლავიელთა უპირატესობით წარიმართა — 86:83 (55:45).

მომდევნო ტურში ცხკა-სთან მატჩში „იუგოსლავიკამ“ აღმავლობით თამაშა და დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა — 107:90 (62:37). „სპორტსკე ნოვოსისის“ აზრით არმიელთა დამარცხების ერთ-ერთი მიზეზი ცენტრების სუსტი თამაში

იყო. „რეალმა“ პეტროვიჩის (32 ქულა) შედეგიანი თამაშის წყალობით დამარცხა „ბარსელონა“ — 86:81 (52:46).

მესამე ადგილისათვის მატჩში ცხკამ მოუგო „ბარსელონას“ 90:85 (50:45). მადრიდის „რეალს“ და „იუგოსლავიკას“ შეხვედრას უნდა გამოეყენებინათ უძლიერესი, თავდაპირველად თამაში „რეალის“ უპირატესობით წარიმართა და ტაიმი მათ მოიგეს — 48:37. სტუმრები არ შედრენენ და მატჩის ძირითადი დრო დამთავრდა ფრედ — 81:81. დამატებით დროში „რეალმა“ შეძლო მეტოქის დამარცხება — 95:88. გამარჯვებულთა გუნდში კარგად ითამაშეს დრაჟენ პეტროვიჩმა (29 ქულა), ფერნანდო მარტინიმ (20).

მერაბ კალანდიაძე.

## შთელ ლობი — ფრანგების იმედი

საზრანგეთში კარგა ხანია არ გამოჩენილა ახალგაზრდა ნიჭიერი მოქალაქე. ამიტომაც 16 წლის უკულ ლობის დიდა წარმატებამ ადელიდაში, სადაც იგი მსოფლიო ჩემპიონი გახდა თანატოლებში, საყოველთაო ყურადღება მიიპყრო.

საინტერესოა, რომ ეს ნორჩი ფრანგი ოსტატის მეორე წლებადილი წარმატება. ზაფხულში იგი ტიმიშოარაში (რუმინეთი) მონაწილეობდა კაბუტა მსოფლიო პირველობაზე (16 წლამდე), სადაც პატიო მესამე ადგილზე ავიდა. მისი მიღწევა ადელიდაში, რა თქმა უნდა, გაცილებით უფრო მაღალია. ლობის ამ ახალი დიდი წარმატებისთვის საერთაშორისო ოსტატის წოდება მიენიჭა.

## ახალგაზრდა ინვლისელის გამარჯვება

ლოიდ ბანკის ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირზე, რომელიც ლონდონში იმართება ხოლომე, არაერთი დიდოსტატის მონაწილეობის მიუხედავად, გამარჯვდა ორმა ახალგაზრდა ინვლისელმა: 24 წლის გარი ლენინა და 16 წლის მაკლ ადამსმა. მათ 9-9 შესაძლებლიდან 8-8 ქულა მოაგროვეს. 7,5 ქულა ოთხმა მოქალაქემ დააგროვა, მათ შორის მსოფლიოს ექსპერტიზამ, 67 წლის ვასილ სმისლოვმა.

## 16 წლის პროფესიონალი

სან-ფრანცისკოს დიდ საერთაშორისო ტურნირში 16 წლის ჩოგბურთელ მაიკლ ჩანგს გამარჯვება უკვლამ სენსაციად მიიჩნია. ამერიკელმა კაბუტმა წლებადელ ზამთარში მოიპოვა პროფესიონალის სტატუსი. იგი ბრწყინვალედ თამაშობდა ამ ასპარეზობაზე და ფინალამდე არცერთი ხელი არ წაუგია, გადაწყვეტ შეხვედრაში კი ცნობილ თანამემამულეს, ოსტატ კრის სმლა.

ჩოგბურთელთა საერთაშორისო რანგ-ლისტში ჩანგი ოცდამეექვსმეტელ დამკვიდრდა, მაგრამ მოელოან, რომ სულ მალე უფრო დაწინაურდება.

რედაქტორი თ. გუჩიჩილაძე

საპროგნოზო შეჯამება: ზღაპარი, სპორტული

გამომართა ევროპის ქვეყნების საფეხბურთო ჩემპიონატების მორიგი ტურის მატჩები.

ბზრ IX ტური. „ლევერკუზენი“ — „იურდინგენი“ 2:2, „დორტმუნდი“ — „შტუტგარტ კიკერსი“ 1:1, „ჰამბურგი“ — „ბოპუმე“ 3:1, „შტუტგარტი“ — „ფრანკფურტი“ 2:0, „კარლსრუე“ — „მანჰეიმი“ 2:1, „ჰანოვერი“ — „ბაიერნი“ 0:0, „ვერდერი“ — „სენტ პალუ“ 0:0, „მიონხენგლადბახი“ — „კოლნი“ 1:0, „კაიზერსლაუტერნი“ — „ნიურნბერგი“ 2:1.

ნვლისი VII ტური. „ჩარლტონი“ — „ტოტენჰემი“ 2:2, „დერბი“ — „ნორვიჩი“ 0:1, „ევერტონი“ — „საუთჰემპტონი“ 4:1, „ლუტონი“ — „ლივერპული“ 1:0, „მიდლსბრო“ — „ვესტ ჰემი“ 1:0, „ნიუკასლი“ — „ქოვენთრი“ 0:3, „ქუინს პარკი“ — „ნოტიუნგემი“ 1:2.

ახსტრია 15 87-20 22, ტიროლი 15 88-18 21, ადმირა 15 25-18 20

ბალვია XII ტური. „ბრიუგე“ — „ვარეგემი“ 2:3, „ლოკერენი“ — „სტანდარდი“ 0:2, „ბერესკოტი“ — „მოლენბეკი“ 1:3, „კორტრიკი“ — „სერკლი“ 3:1, „რესინგ მექელენი“ — „ლიერსი“ 1:0, „შარლერუა“ — „გენი“ 0:0, „ლიეჟი“ — „ბევერენი“ 1:0, „ანდერლუპტი“ — „მეპელენი“ 0:0, „სენტ ტრიუდენი“ — „ანტვერპენი“ 0:0.

შვედენი 12 21, ანდერლუპტი 12 20, ლიეჟი 12 18

შვეიცარია XIV ტური. „გრასპოპერსი“ — „ლუცერნი“ 4:1, „სიონი“ — „ლოზანა“ 1:0, „სენტ გალენი“ — „ჰსამაჰსი“ 3:3, „ინგ ბოისი“ — „სერვეტი“ 2:3, „არაუ“ — „ლუგანო“ 2:2, „ბელინსონა“ — „ვეტიინგენი“ 1:1.

იზრანია X ტური. „პარტიზანი“ — „ტრევენა ზეზდა“ 1:0, „სარაევო“ — „რადნიკი“ 0:0 (1:4), „პაილუკი“ — „ვარდარი“ 4:1, „დინამო“ (ზაგრები) — „ტოტოგრადი“ 2:0, „კრუშევაცი“ — „ოსიეკი“ 2:0, „ნოვი სადი“ — „ჟელეზნიჩარი“ 1:0, „ზენიცა“ — „ველუეი“ 1:1 (4:2), „ნიში“ — „რეკა“ 1:0, „ტუზლა“ — „სუბოტიცა“ 0:0. (3:4).

## შვეიცია

XI ტური. „ჰამარბიუ“ — „ესტერი“ 3:0, „მალმიო“ — „გოტებორგი ფიკ“ 1:3, „სუნდსვალი“ — „ვესტრა ფრელუნდა“ 0:0, „ერგრიუტი“ — „ნორჩინგი“ 2:1, „იურგორდენი“ — „ბრაგე“ 0:0, „გის გეტებორგი“ — „აიკი“ 1:0.

მალმიო 21 32, იფკ ვიოტებორგი 21 29, იურგორდენი 21 25

## დანია

XII ტური. „იკსტი“ — „ნესტვილი“ 4:0, „ჰერფოლდე“ — „ორხუსი“ 0:2, „ალბორგი“ — „სილკებორგი“ 2:1, „ფრეა“ — „ვეილე“ 0:3, „ბრონდბიუ“ — „1903 კოპენჰაგენი“ 1:1, „ბკ კოპენჰა-



შეხვედრითა ოლიმპიური ტურნირის შემდეგ შედგა მსოფლიოს სიმბოლური ნაკრები, რომელშიც მოხვდნენ: ტაფარელი (ბრაზილია), ლონი (შვეიცია), ანდრე კრუსი (ბრაზილია), პორსტერი, მილი (ორივე — გფრ), გვალია (ზამბია), დობროვოლსკი, მოხაილიჩენკო (ორივე — სსრ კავშირი), კლინსმანი (გფრ), რომარიო (ბრაზილია), ვირდისი (იტალია).

58 წლისა გარდაიცვალა ცნო

გენი — „ბრონზიო“ 1:2, „ლუნგიუ“ — „ოდენსე“ 2:1.

ბრონდბიუ 22 33, ლუნგიუ 22 28, ნესტვილი 22 27

## საზრანგეთი

XV ტური. „კანი“ — „ლავალი“ 3:2, „მონაკო“ — „მარსელი“ 3:0, „კანი“ — „რესინგი“ 1:1, „სენ-ჟერმენი“ — „სტრასბურგი“ 1:0, „ტულონი“ — „სოშო“ 0:0, „ოსერი“ — „სენტ ეტიენი“ 2:0, „ლილი“ — „მონპელიე“ 3:1, „ტულუზა“ — „ნიცა“ 2:1, „მეცი“ — „ბორდო“ 3:0, „ნანტი“ — „ლანი“ 3:1.

ოსერა 15 24-18 30, სენ ჟერმენი 15 21-11 30, მარსელი 15 31-16 27

## საულის ფეხბურთელთა ოლიმპიური ტურნირის მთავარი ბომბარდირი

ბილი იუგოსლავიელი ფეხბურთელი და მწვერთელი ბრაზილი ზებეტი. იგი 1954 და 1958 წლების მსოფლიო ჩემპიონატების მონაწილე იყო, 1952 წლის ოლიმპიადის პრიზიორი. დიდხანს წვრთნიდა ჰამბურგის „ბაიერსს“ და „ერნსტ ჰაპელთან ერთად ევროპაში ფეხბურთის ერთ-ერთ საუკეთესო სპეციალისტად ითვლებოდა“ (ეს სიტყვები ფრანც ბეკენბაუერს ეკუთვნის).

საულის ფეხბურთელთა ოლიმპიური ტურნირის მთავარი ბომბარდირი ბრაზილიელი რომარიო ფარიას ამერიკიდან „ბარსელონაში“ ითამაშებს. იქვე ჩაირიცხა მისი თანაგუნდელი, მცველი ალოიზიოც. ახლა „ბარსელონას“ მწვერთელს დიდი არჩევანი აქვს განსაკუთრებით თავდასხმაში (რომარიო, ლინეკერი, ბაკერო, კარასკო, სალინსი, ბეგურისტიანი).

(სპა. იფს.)

ჩვენი მისამართი: წერილებისთვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14, დეპარტამენტის თბილისი, „ლელო“

ჩვენი მისამართი: წერილების განყოფილება — 93.97.55, სამდივნო — 93.97.52, ინფორმაციის განყოფილება — 93.97.53, მერანი — 93.97.26, მართვე — 93.97.27.

ჩვენი მისამართი: 63950, ინფორმაციის განყოფილება 66485

საქართველოს კვ. ც.-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროის ორ-დენიანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ორუკ-ტური წესით საჯაროთა კორპუსში: ხოშარაულის, 29. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 10899